სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№ 01-04/88 07.10. 2021

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის № 481 დადგენილების - „ იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის № 322 დადგენილებაში ცვლილელების შეტანის საფუძველზე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 16 სექტემბრის № 01-04/73 ბრძანების - უნივერსიტეტში 2021 - 2022 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის, ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ, ვბრძანებ:

1. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის № 481 დადგენილების საფუძველზე ძალადაკარგულად ჩაითვალოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №01-04/73 უნივერსიტეტში 2021 - 2022 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ.
2. 2021 წლის 11 ოქტომბრიდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი წარიმართოს სწავლების ჰიბრიდული ფორმის გამოყენებით.
3. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს (გარდა მედიცინის ფაკულტეტის დეკანისა) და ენათა ცენტრის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მონიტორინგის განყოფილებას:
3.1. სასწავლო ცხრილების სწავლების ჰიბრიდულ ფორმაზე გადაყვანა;

3.2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი წარმართონ სწავლების ჰიბრიდული ფორმის გამოყენებით;
3.2.ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები წარმართონ არადისტანციური სწავლების ფორმის გამოყენებით.
3.3.ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე, მცირე კონტიგენტიან სასწავლო ჯგუფებში, რომელშიც ირიცხება არაუმეტეს 12 სტუდენტისა და არ ერთიანდებიან ნაკადში, ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები წარმართონ არადისტანციური სწავლების ფორმის გამოყენებით.

3.4.მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები წარმართონ არადისტანციური სწავლების ფორმის გამოყენებით, ხოლო სალექციო მეცადინეობები დისტანციური სწავლების ფორმით, On - Line (ონ-ლაინ) პლატფორმაზე (Microsoft teams, moodle);

3.5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი (გარდა ერთობლივი სადოქტორო პროგრამებისა) წარმართონ არადისტანციური სწავლების ფორმის გამოყენებით.

3.6. Minor საგანმანათლებლო პროგრამებზე, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობები წარმართონ დისტანციური სწავლების ფორმის გამოყენებით.

3.7.უცხო ენებში (ენათა ცენტრი) მეცადინეობები ჩატარდეს On - Line (ონ-ლაინ).

4. მედიცინის ფაკულტეტზე:

4.1. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული / ლაბორატორიული / კლინიკური კომპონენტები, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის №481 დადგენილების საფუძველზე წარმართონ არადისტანციური სწავლების ფორმით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული პერსონალი და სტუდენტი აკმაყოფილებს ერთ-ერთ- შემდეგ პირობას:

ა. სრულად ვაქცინირებულია;

ბ. უზრუნველყოფს უარყოფითი PCR ტესტის წარდგენას კვირაში ერთხელ;

გ. ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) ლაბორატორიულად დადასტურებიდან ორი კვირის შემდეგ არ არის გასული 6 თვეზე მეტი.

4.2. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სასწავლო პროცესის დაწყებისას იქნებიან სრულად ვაქცინირებული, სასწავლო პროცესი განხორციელდეს სრულად ვაქცინირებული პერსონალის მეშვეობით, არადისტანციური სწავლების ფორმით, „სამუშაო ადგილზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

4.3.დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს:

4.3.1.მონიტორინგის განხორციელება და პასუხისმგებლობა იმაზე, რომ მათდამი დაქვემდებარებულ დეპარტამენტში არადისტანციურად სასწავლო პროცესი წარმართონ მხოლოდ სრულად ვაქცინირებულმა პირებმა;

4.3.2.არ დაუშვან იმ პირთა მოწვევა, რომლებიც არ იქნებიან სრულად ვაქცინირებული;

4.3.3. არ დაუშვან ახალი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება სრულად არავაქცინირებულ დამხმარე პერსონალთან;

4.4. ფაკულტეტის თითოეულ თანამშრომელი, წინამდებარე ბრძანების გამოცემიდან, ვაქცინაციისათვის საჭირო გონივრულ ვადაში, სამუშაო ადგილზე გამოცხადდეს სრულად ვაქცინირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა წარმოადგინონ საკუთარი ხარჯით ჩატარებული PCR ტესტის უარყოფითი პასუხი კვირაში ერთხელ.

4.5.მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები ვალდებულნი არიან, 2021 წლის 4 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით ვაქცინირების დამადასტურებელი დოკუმენტი (COVID-19)-ის ბარათი QR კოდით, ან უკანასკნელი 6 თვის მანძილზე (COVID-19)-ის დადასტურების

დოკუმენტი წარმოადგინონ დეკანატის სამდივნოში/ან გადმოაგზავნონ კოორპორაციული ფოსტის საშუალებით medicine@atsu.edu.ge .

4.6.მედიცინის ფაკულტეტის პირველ სასწავლო წელს ჩარიცხულმა სტუდენტებმა განსაზღვრული წესით უნდა წარმოადგინონ აცრის დამადასტურებელი დოკუმენტი COVID-19-ის ზარათი QR კოდით, ან უკანასკნელი 6 თვის მანძილზე (COVID-19)-ის დადასტურების დოკუმენტი დეკანატის სამდივნოში/ან გადმოაგზავნონ კოორპორაციული ფოსტის საშუალებით medicine@atsu.edu.ge .

4.7 მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით ფაკულტეტის დეკანატმა არადისტანციურ რეჟიმში წარმართოს ის კლინიკური/პრაქტიკული კომპონენტები, რომელთა აუცილებელი მინიმალური რაოდენობა შეადგენს შესაბამისი დისციპლინის საკონტაქტო საათობრივი მოცულობის არანაკლებ 50%-ს.

5. შუალედური და დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს უნივერსიტეტში, არადისტანციურ რეჟიმში, საგამოცდო სექტორის ორგანიზებით.

6. დაევალოს პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელს (ასოც. პროფ. სერგო სვანაძეს) პროფესიულ საგანმანათლებლო და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი წარმართოს არადისტანციური სწავლების ფორმით.

7. აწსუ-ში სალექციო სასწავლო პროცესი, ამ ბრძანების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა წარიმართოს არსებულ On - Line (ონ-ლაინ) პლატფორმაზე (Microsoft teams, moodle);

8. ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურმა (ო. შენგელია) და მულტიმედიური ლაბორატორიის „დეველოპერმა" ბატონ დავით კეთილაძემ, ელექტრონული სწავლების კოორდინატორმა ბატონ ნოდარ ცაგარეიშვილმა უზრუნველყონ ფაკულტეტის დეკანებთან შეთანხმებით, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სალექციო სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვა;

9. ფაკულტეტების ადმინისტრაციების წარდგინებით, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყოს სივრცეები, ფაკულტეტების მიხედვით, ლექცია-პრაქტიკუმების დისტანციურად ჩატარების მიზნით;

10. დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა იხელმძღვანელოს ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის(ENQA) მიერ 2018 წელს შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით.

11. მიეცეთ რეკომენდაცია ფაკულტეტებს, რომ ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება განახორციელონ, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის (ასოც. პროფ. შ. კირთაძის) ხელმოწერით დამტკიცებული სასწავლო ცხრილების დაცვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით მოხდეს ინდივიდუალური დროებითი ცხრილების ფორმირება. ფაკულტეტის დეკანებმა წარმოადგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ელექტრონულად, დამტკიცებული სასწავლო ცხრილები.

12. დევალოთ ფაკულტეტის დეკანებს სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში, ორგანიზებულად წარმართვისა და მონიტორინგის მიზნით სასწავლო ჯგუფებს მიამაგრონ:

12.1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლები:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბიზნესის სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - პროფესორი გიორგი ბერძულიშვილი (სასწავლო პროცესის მონიტორინგის განყოფილების უფროსი;
- საინჟინრო ტექნიკურ, საინჟინრო-ტექნოლოგიურ, მედიცინის და აგრარულ ფაკულტეტებზე - აკადემიური დოქტორი დავით თოფურია (სასწავლო-მეთოდური განყოფილების მთავარი სპეციალისტი);
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, პედაგოგიურ და საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე - სალომე გიორგაძე (სასწავლო-მეთოდური განყოფილების მოწვეული სპეციალისტი);

12.2. ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები:

- ფაკულტეტის დეკანი;
- ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
- ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის სპეციალისტი.

13. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს ბრძანება დაიყვანონ თითოეულ სტუდენტამდე და აკადემიურ პერსონალამდე;

14. ბრძანება ძალაში შევიდეს 2021 წლის 11 ოქტომბრიდან.

15. უნივერსიტეტის კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა ფაკულტეტების დეკანებთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და განთავსება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.

16. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

17. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის №481 დადგენილება, "იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №1011269, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №1011252.

რექტორი პროფესორი როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი პროფესორი იმერ ბასილაძე

საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 481 2021 წლის 30 სექტემბერი ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-3 მუხლის:

1. 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების ან/და სასკოლო მზაობის პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები არ განახორციელებენ სააღმზრდელო/სასწავლო პროცესს 2021 წლის 4

ოქტომბრამდე, ხოლო 2021 წლის 4 ოქტომბრიდან აღნიშნული დაწესებულებები სრულად აღადგენენ სააღმზრდელო/სასწავლო პროცესს.".

2. 2^3 და 2^4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^3. ჯანდაცვის მიმართულების იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს პაციენტთან კონტაქტს, კლინიკური სწავლების არადისტანციურ რეჟიმში განხორციელებისას პერსონალი და სტუდენტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) სრულად ვაქცინირებულია;

ბ) უზრუნველყოფს უარყოფითი PCR ტესტის წარდგენას კვირაში ერთხელ;

გ) ახალი კორონავირუსის (COVID-19) ლაბორატორიულად დადასტურებიდან ორი კვირის შემდეგ არ არის გასული 6 თვეზე მეტი.

2^4. 2021 წლის 4 ოქტომბრიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი გაგრძელდება დასწრებით ფორმატში, არადისტანციურ რეჟიმში;

ბ) პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან, სასწავლო პროცესი განაახლონ დასწრებით ფორმატში, არადისტანციურ რეჟიმში.".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 4 ოქტომბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**